



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 4 21 0001247219

19/11/2021

**ფაქტ-მეტრის რედაქტორს, ბატონ მალხაზ რეხვიაშვილს**  
ელ.ფოსტა:nanovero71@gmail.com

**ბატონო მალხაზ,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N1116038; 20.10.2021) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სტუდენტების უცხოეთში დაფინანსება განხორციელდა 2008 წლიდან. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 მარტის N79 დადგენილების თანახმად პროგრამის "იაფი კრედიტი" ქვეპროგრამა "ცოდნის კარის" ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისათვის გაიცემოდა შეღავათიანი სტუდენტური კრედიტები. ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის №970 30.12.2009 წ. ბრძანებულებით განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარებისა და რეფორმების ფონდის ლიკვიდაცია. „განვითარებისა და რეფორმების ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ სასწავლო-სამაგისტრო და სხვა სასწავლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ფონდის უფლებები და მის მიერ ნაკისრი მოვალეობების უფლებამონაცვლე გახდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შესაბამისად აღნიშნულის ფარგლებში 2010 წელს დაფინანსებულია გამორჩეული უნარ ჩვევების და სწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირები, აგრეთვე საგანმანათლებლო და ინსტიტუციონალურ რეფორმებთან დაკავშირებული ინდივიდუალური და კორპორაციული პროექტების მხარდაჭერის, კვალიფიკაციის ამაღლების, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ინტაგრაციის პროფესიული განვითარებისა და საგანმანათლებლო და სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პირები.

"პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010

წლის 24 აპრილის N124 დადგენილებით დამტკიცდა "ცოდნის კარის" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების წესი და პირობები. ასევე, 2012 წელს სამინისტრო ახორციელებდა პროგრამა "ცოდნის კარის" ორ ქვეპროგრამას: "სასწავლო-სამაგისტრო ქვეპროგრამა" და "ნიჭიერი, გამორჩეული უნარ-ჩვევებისა და სწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო ქვეპროგრამას", ასევე 2013 წელს პროგრამა "ცოდნის კარის" ფარგლებში მოქმედებდა "სამაგისტრო და სადოქტორო ქვეპროგრამა" და "ნიჭიერი, გამორჩეული უნარ-ჩვევებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო ქვეპროგრამა". ორივე ქვეპროგრამაზე ფინანსდებოდნენ მხოლოდ პრიორიტეტულ უნივერსიტეტებში და კოლეჯებში ჩარიცხული პირები. "სამაგისტრო და სადოქტორო ქვეპროგრამის" ფარგლებში - მხოლოდ მაგისტრები და დოქტორანტები, ხოლო მეორე ქვეპროგრამის ფარგლებში - ბაკალავრები. ასევე, შეზღუდვა არ ვრცელდებოდა სახელოვნებო სფეროსა და ბიზნეს ადმინისტრირების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. "ნიჭიერი, გამორჩეული უნარ-ჩვევებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო ქვეპროგრამის" ფარგლებშივე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს რეკომენდაციით დაფინანსდნენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ სწავლას პედაგოგთა პროგრამებზე სახელოვნებო მიმართულებით (გარდა აკადემიური პროგრამებისა).

ამასთან გაცნობებთ, რომ 2014 წლის 22 აპრილს საქართველოს მთავრობის N303 დადგენილებით დამტკიცდა "განათლების საერთაშორისო ცენტრის" პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა საზღვარგარეთ სწავლის მიზნით მოქალაქეების დაფინანსება. ასევე 2015 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის N183 დადგენილებით შეიქმნა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი, ამავე დადგენილების მექანიზმით მუხლის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების საერთაშორისო ცენტრი ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განათლების საერთაშორისო ცენტრის (სამსახური) უფლებამონაცვლედ და სტუდენტების უცხოეთში დაფინანსებას ახორციელებს აღნიშნული სსიპი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ 2008-2012 წლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 481, 2013-2014 წლებში - 158, ხოლო განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამების ფარგლებში 2014 წლიდან დღემდე გაცემულია 1150-ზე მეტი სტიპენდია.

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიერ ერაზმუს+ ფარგლებში დაფინანსებულია 2007-2012 წლებში 574 სტუდენტი და პერსონალი, 2013-2021 წლებში - 6951 სტუდენტი და პერსონალი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მაქსიმალურად ხელს უწყობს უცხოეთში ახალგაზრდების სწავლასა და ინტერნაციონალიზაციას.

**პატივისცემით,**

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**

ადმინისტრაცია / საქმისწარმოების სამმართველოს  
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი  
ლომთაძე ნათია

ნ. ლომთაძე